



დამტკიცებულია

რექტორის ბრძანება № 01-23 27.03.2024

რექტორი  პარმენ ხვედელიძე



ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია

2024– 2030

ნდ№2-030102-10

შესავალი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი ან ბნსუ) სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი განათლების ინტერნაციონალიზაციაა. სასწავლო უნივერსიტეტი აცნობიერებს განათლების ბაზრის მოთხოვნებს და მხარს უჭერს საგანმანათლებლო პროგრამებში საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებას და ამ მიმართულების გაძლიერებას, რომელიც მოიცავს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას, ერთობლივ/გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამებს, საერთაშორისო თანამშრომლობასა და კვლევითი პროექტების განხორციელებას.

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია იმ მიზნით, რომ ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტიანი და თანმიმდევრული პოლიტიკა, რაც ასევე შესაძლებელს გახდის ბნსუ-ს განვითარების მიმდინარე (2019-2025) და მომდევნო პერიოდის (2024-2030) გეგმებითა და მისიით გაცხადებული პრიორიტეტის განხორციელებას.

სტრატეგია წარმოადგენს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის 2024-2030 დამხმარე დოკუმენტს, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესთან დაკავშირებული აქტივობების ეფექტურად დაგეგმვას, განხორციელებას და შემდგომში მონიტორინგს. სტრატეგია ეყრდნობა უნივერსიტეტის განვითარების გეგმასა 2024-2030 და მისიას. იგი ითვალისწინებს უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითად პარადიგმებს, რომელსაც საზოგადოება იცნობს როგორც ბოლონიის პროცესს. ინტერნაციონალიზაცია და მობილობის ხელშეწყობა ბოლონიის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილებია, შესაბამისად, ბნსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენს.

ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიით გათვალისწინებული საქმიანობის შესრულებისა და მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ბნსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურია.

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ხედვა, მისია და ღირებულებები

<p>ჩვენი ხედვა</p>	<p>უნივერსიტეტის ხედვა ემყარება სტრატეგიულ მიზნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ ბნსუ დარჩეს დინამიურ და მომავალზე ორიენტირებულ ინსტიტუციად და დარგობრივ სივრცეში აღიარებულ ბრენდად, რომელიც განაპირობებს პოზიტიურ ცვლილებებს, მხარს უჭერს ინსტიტუციურ მდგრადობას, ოპერატიულ ეფექტურობას და სწავლა-სწავლების ხარისხში მუდმივ გაუმჯობესებას.</p>
<p>ჩვენი მისია</p>	<p>უნივერსიტეტის მისიაა უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება მაგისტრანტებისთვის / სტუდენტებისთვის/პროფესიული სტუდენტებისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე, რომელიც უნვითარებს მათ საჭირო ცოდნას და უნარებს მუდმივად განახლებად და ცვალებად ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე სავაჭრო საზღვაო და ლოგისტიკურ დარგში წარმატებული კარიერის მისაღწევად.</p> <p>ბნსუ აკადემიური/პროფესიული/სასერტიფიკატო ხარისხიანი პროგრამების და კვლევითი პროექტების განხორციელებით, ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებით, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებით და უსაფრთხო, თანამედროვე აკადემიური გარემოს შექმნით აღწევს კურსდამთავრებულთა პასუხისმგებლობის, დისციპლინის, კეთილსინდისიერებისა და ლიდერობის მაღალ დონეს.</p>
<p>ჩვენი ღირებულებები</p>	<ul style="list-style-type: none"> ✦ მრავალფეროვნება, თანასწორობა და ინკლუზია; ✦ ერთიანობა, არჩევანის, გადაწყვეტილების მიღების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება; ✦ პროფესიონალიზმი, აკადემიური თავისუფლება, პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერება; ✦ საზოგადოებაში ჩართულობა; ✦ სოციალური პასუხისმგებლობა; ✦ ინოვაციებისადმი მზაობა.

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული ამოცანები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით:

მიზანი: საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია; უცხოელ პარტნიორებთან ინფორმაციის გაცვლა და მათი გამოცდილების გაზიარებით ბნსუ-ში სტაბილური განათლების სისტემის ჩამოყალიბება.

მოსალოდნელი შედეგი: ბნსუ-ს ჩართულობა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში; ბნსუ-ში უწყვეტი განათლების სისტემის ჩამოყალიბება და საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა საერთაშორისო ტენდენციებისა და ინოვაციური მიდგომების გათვალისწინებით.

მიზნების რეალიზაციის უზრუნველყოფა: უნივერსიტეტის თითოეული სტრატეგიული მიზნის შესრულებას უზრუნველყოფს შესაბამისი მექანიზმების დანერგვითა და საჭირო რესურსით (ფინანსური, ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური).

ბნსუ **ინტერნაციონალიზაციაში** მოიაზრებს საერთაშორისო საგანმანათლებლო, სამეცნიერო და დარგობრივ სივრცეში ინტეგრირებას, მათ შორის ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას და ჰარმონიზაციას უცხოელი პარტნიორი-დაწესებულებების პროგრამებთან, გაცვლითი პროგრამების განხორციელებას, საგანმანათლებლო პროცესში უცხოელი სტუდენტების ჩართულობას, საგანმანათლებლო პროცესში ჩერთულობის, ბნსუ-ში ტრენინგების ჩატარების, თანამედროვე ცოდნის და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების მიზნით სპეციალისტების მოწვევას, უცხოეთში სტაჟირებებს, საერთაშორისო სამეცნიერო საქმიანობაში ბნსუ-ს აკადემიური პერსონალის ჩართულობას და სხვ.

ინტერნაციონალიზაციას ბნსუ განიხილავს როგორც აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის ერთ-ერთ მექანიზმს - საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ბნსუ-ს ინტეგრირებით შესაძლებელი ხდება აკადემიური პერსონალის მონაწილეობა პარტნიორი-დაწესებულებების და მათი მონაწილეობით ბნსუ-ში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებში, საერთაშორისო პროგრამებში/პროექტებში ჩართულობა, თანამედროვე მიდგომების გაცნობა, გაზიარება და სხვ.


საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარება - სამეცნიერო საქმიანობის განვითარება გულისხმობს: დარგობრივ ორგანიზაციებთან, საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაძლიერებას და შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენებას; პრიორიტეტული მიმართულებებში პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობას (სამეცნიერო და დარგობრივ კონფერენციებში, პროექტებში, სხვ. ჩართულობა; სამეცნიერო რეფერირებად რეცენზირებად ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნება; სამეცნიერო ნაშრომების გამოცემა). პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის წახალისებას; სტუდენტთა საქმიანობის ხელშეწყობა (სტუდენტთა მომზადება კონფერენციებში მონაწილეობისათვის, ნაშრომების მომზადებაში დახმარება, სხვ.). საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პრიორიტეტულია: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში, სხვ. ბნსუ-ს აკადემიური პერსონალის ჩართულობა, ერთობლივ პროექტებში/პროგრამებში მონაწილეობა, საერთაშორისო რეფერირებად რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდა, უცხოელი პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთან ერთობლივი პროექტების განხორციელება და მათი კომერციალიზაციის შესაძლებლობა, ბნსუ-ში საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების

(კონფერენციების, ფორუმების, სხვ.) რაოდენობის გაზრდა, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ბნსუ-ს ღირსეული პარტნიორის იმიჯის შექმნა.

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიით დასახული აქვს შემდეგი ოთხი სტრატეგიული მიზანი:

1. საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება;
2. პროგრამული (სწავლა/სწავლება) ინტერნაციონალიზაცია;
3. უცხოელი სტუდენტების ჩართულობა;
4. კვლევის ინტერნაციონალიზაცია.

სქემატურად ბნსუ-ს ინტერნაციონალიზაციის ხედვა შეიძლება გამოიხატოს შემდეგნაირად:



ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი ინტერნაციონალიზაციის მიზნების მისაღწევად თავის პოლიტიკას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით:

1. უზრუნველყოფს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებასა და გაღრმავებას.	მიზანი 1
2. უზრუნველყოფს ინსტიტუციურ გაძლიერებასა და ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო დონეზე.	მიზანი 1
3. ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას, საერთაშორისო პროექტების, ინგლისურენოვანი პროგრამების განვითარებასა და სხვა საერთაშორისო აქტივობებს.	მიზანი 2
4. ხელს უწყობს და ავითარებს სტუდენტების, ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მობილობას, როგორც ბნსუ-დან ასევე პერსონალის მობილობას უცხოეთის უნივერსიტეტებიდან.	მიზანი 2
5. ახორციელებს უცხოელი სტუდენტების მოზიდვას და მათ ინტეგრაციას საუნივერსიტეტო სივრცეში.	მიზანი 3
6. მხარს უჭერს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი კვლევითი და ინოვაციური პროექტების განხორციელებას.	მიზანი 4
7. ხელს უწყობს ინსტიტუციის მართვის ინტერნაციონალიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და აკადემიური პერსონალის ინტეგრაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო პროცესებში.	მიზანი 1;2;4

1. უზრუნველყოფს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებასა და გაღრმავებას

- 1.1. უნივერსიტეტი მუდმივად ახდენს საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელის გაფართოვებას მსოფლიოს შესაბამისი პროფილის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; ახალი პარტნიორების მოძიების მიზნით ბნსუ მუდმივად მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ფორუმებში, დისკუსიებში, საგანმანათლებლო კვირეულებში, კონფერენციებში და სხვა.
- 1.2. არსებულ პარტნიორებთან ახორციელებს მუდმივ კომუნიკაციას, უზიარებს მათ ინფორმაციას უნივერსიტეტის სიახლეებს, მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებებს შესახებ და სთავაზობს მათ უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ აქტივობებში/პროექტებში/ღონისძიებებში მონაწილეობას.

- 1.3. მუდმივად იღებს ინფორმაციას პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების სიახლეების, მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებების შესახებ და შეთავაზებას მათ მიერ დაგეგმილ აქტივობებში/პროექტებში/ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ.
2. **უზრუნველყოფს ინსტიტუციურ გაძლიერებასა და ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო დონეზე**
 - 2.1. ინსტიტუციური პროფილის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტი და აკადემიური პერსონალი გაწევრიანებულია დარგობრივ საერთაშორისო ასოციაციებსა და პროფესიულ ქსელებში.
 - 2.2. ცნობადობის გაზრდის მიზნით უნივერსიტეტი მონაწილეობს საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებსა და სიმპოზიუმებში.
3. **ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას, საერთაშორისო პროექტების, ინგლისურენოვანი პროგრამების განვითარებასა და სხვა საერთაშორისო აქტივობებს**
 - 3.1. უზრუნველყოფს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას;
 - 3.2. უცხოელი ლექტორების/პროფესორების მასწავლებლების ჩართულობა საგანმანათლებლო საქმიანობაში და პროგრამების განვითარებაში;
 - 3.3. ზრდის პროგრამებში ინგლისურ ენაზე შეთავაზებული აკადემიური პროგრამების სასწავლო კურსების რაოდენობას;
 - 3.4. სასწავლო პროცესში იყენებს უცხოურ ლიტერატურას;
 - 3.5. ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების მუდმივ განახლებას და უზრუნველყოფს სწავლების/სწავლის შედეგების საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებზე მორგებას.
 - 3.6. იწვევს საერთაშორისო მომხსენებლებს საჯარო ლექციების, ვორქშოფებისა და ვებინარების ჩასატარებლად შესაბამისი პროგრამის ფარგლებში.
4. **ხელს უწყობს და ავითარებს სტუდენტების, ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მობილობას, როგორც ბნსუ-დან ასევე მობილობას უცხოეთის უნივერსიტეტებიდან**
 - 4.1. თანამშრომლობს მსოფლიოს შესაბამისი პროფილის უნივერსიტეტებთან, რომლის ფარგლებშიც ახორციელებს გაცვლით პროგრამებს (outgoing/incoming) სტუდენტებისთვის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის;

- 4.2. აქტიურად იყენებს საერთაშორისო მობილობის დაფინანსების წყაროებს როგორცაა ERASMUS+;
 - 4.3. მასპინძლობს ფულბრაიტის და სხვა პროგრამების ფარგლებში დაფინანსებულ აკადემიურ, ადმინისტრაციულ პერსონალს, მკვლევარებს სწავლებისა და კვლევის მიზნით;
 - 4.4. ახორციელებს საერთაშორისო მობილობის მხარდაჭერას უცხოეთის უსდ-ებისთვის აკადემიური და ადმინისტრაციული სერვისების შეთავაზებით/უზრუნველყოფით სტუდენტებისა და პერსონალისთვის (ჩარიცხვის პროცედურები, სავიზო მხარდაჭერა, ჯამრთელობის დაზღვევა, საცხოვრებელი ადგილის უზრუნველყოფა, აკადემიური კონსულტაცია და ა.შ.);
 - 4.5. ახდენს მობილობის მხარდამჭერი პროგრამების, მოკლევადიანი პროექტების, კონკურსების და სხვა შეთავაზებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას სტუდენტებთან, ადმინისტრაციულ, აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალთან;
 - 4.6. ყოველწლიურად ორგანიზებას უწევს შიდა ინსტიტუციონალური ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი გამოცდის ჩატარებას, საერთაშორისო მობილობით სარგებლობის მსურველი სტუდენტებისთვის, აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალისთვის;
- 5. ახორციელებს უცხოელი სტუდენტების მოზიდვას და მათ ინტეგრაციას საუნივერსიტეტო სივრცეში**
- 5.1. უზრუნველყოფს უცხოელი სტუდენტების მოზიდვას;
 - 5.2. უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით ბნსუ გეგმავს და ახორციელებს კამპანიას. მონაწილეობს საერთაშორისო გამოფენებში, ფორუმებში, სამიტებში, გეგმავს ინდივიდუალურ გამოფენებს შერჩეულ ქვეყნებში. პროგრამების შესახებ ცნობადობის გაზრდის მიზნით, მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში. აქვეყნებს ინგლისურენოვანი პროგრამების შესახებ ინფორმაციას საერთაშორისო ელექტრონულ პორტალებზე, სოციალურ ქსელებში, ჟურნალებში. ავრცელებს საინფორმაციო ბროშურებს საელჩოების, პარტნიორებისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
 - 5.3. უნივერსიტეტი ბნსუ ახორციელებს უცხოელი სტუდენტების მოზიდვას საერთაშორისო აგენტების/შუამავალი აგენტების მეშვეობით. ამ მიზნით აფორმებს სტუდენტთა მოზიდვის ხელშეკრულებას საერთაშორისო ან ადგილობრივ აგენტებთან/ შუამავალ აგენტებთან;

- 5.4. უცხოელ სტუდენტებს სთავაზობს აკადემიურ პროცესთან დაკავშირებულ მხარდამჭერ სერვისებს. ასევე, ადმინისტრაციულ მხარდაჭერას საცხოვრებლის მოძიების, სავიზო პროცედურების გავლის, ჩარიცხვის დოკუმენტაციის მომზადების, დაზღვევისა და სხვა საკითხებში;
 - 5.5. სთავაზობს ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობას;
 - 5.6. უცხოელი სტუდენტების ინტეგრაციისა და ინტერკულტურული გარემოს შექმნის მიზნით, გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებებს, როგორც არის მიღების წვეულება, ექსკურსიები, საგანმანათლებლო ტურები, კონკურსები, სპორტული აქტივობები და სხვა კლასგარეშე აქტივობები. თავაზობს სტუდენტურ ცხოვრებაში ინტეგრაციას, უნივერსიტეტში არსებულ კლუბებსა თუ გუნდებში/ჯგუფებში გაწევრიანებით;
- 6. მხარს უჭერს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი კვლევითი და ინოვაციური პროექტების განხორციელებას**
- 6.1. თანამშრომლობს უცხოურ უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებთან;
 - 6.2. ხელს უწყობს მეცნიერთა მობილობის ზრდას;
 - 6.3. მასპინძლობს და მონაწილეობას იღებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, ფორუმებში, სიმპოზიუმებში და სხვა ღონისძიებებში;
 - 6.4. აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში;
 - 6.5. აფინანსებს აკადემიური პერსონალისა და მეცნიერების კონფერენციებსა და საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობას;
- 7. ხელს უწყობს ინსტიტუციის მართვის ინტერნაციონალიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და აკადემიური პერსონალის ინტეგრაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო პროცესებში**
- 7.1. ხელს უწყობს არსებული ადმინისტრაციული მობილობების ფარგლებში (incoming/outgoing), პარტნიორი უნივერსიტეტების მართვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების შესწავლასა და საჭიროების შემთხვევაში ინტეგრირებას;
 - 7.2. ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სისტემის მოდერნიზებას საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად;
 - 7.3. უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას სასწავლო პროცესისა და სტუდენტური სერვისების საერთაშორისო სტანდარტებზე მორგების მიზნით;

- 7.4. ზრუნავს მკვლევარების საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარებაზე და სთავაზობს შესაბამის ტრენინგებს/მასტერ კლასებს.
- 7.5. სთავაზობს პერსონალს უცხო ენის კომპეტენციებსა და სხვა საჭირო მიმართულებებით გადამზადებას;
- 7.6. ახდენს მათ ინფორმირებას სხვადასხვა საერთაშორისო სტაჟირების თუ გადამზადების მოკლევადიან პროგრამებთან დაკავშირებით და ხელს უწყობს მათ ჩართულობას.

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის მონიტორინგი და შეფასება

ბნსუ-ს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება შემდეგი მიმართულებით:

- ✚ სწავლა-სწავლება (სტუდენტები, ფაკულტეტი, პროგრამები);
- ✚ ჩართულობის მაჩვენებელი;
- ✚ მმართველობა;
- ✚ კვლევა;

წარმოდგენილი სტრატეგიის მონიტორინგის გეგმა იხილეთ დანართში - დანართი 1.

ინტერნაციონალიზაციის პროცესების ანგარიშგება და მონიტორინგი

ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის ეფექტურ მუშაობაზე პასუხისმგებელია საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, რომელიც წელიწადში ერთხელ (კალენდარული წლის ბოლოს), ანგარიშს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს - კანცლერს და ბნსუ-ს თანასაზოგადეობას.

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ყოველწლიური ანგარიში ეფუძნება:

- ✚ ინტერვიუებს;
- ✚ მობილობების/საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ანგარიშებს;
- ✚ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შეფასებას;
- ✚ კალენდარული წლის განმავლობაში დაგეგმილს მიღმა განხორციელებულ ღონისძიებების შეფასებას.

